თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"-ს სხდომის

ო ქ მ ი N5

ქ.თელავი 22 ნოემბერი

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** ლ.ლილუაშვილი

**სხდომას ესწრებოდნენ ფრაქციის წევრები:** ბესიკ ქოჩიშვილი, გიგა ორკოდაშვილი, ნანა ხვისტანი, ლევან კოჭლოშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, დავით ღაღანიძე; ასევე ესწრებოდნენ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: ფრაქცია„ქართული ოცნება მწვანეები"-ს თავმჯდომარის მოადგილე - **გიგა მამუკელაშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი - **ფიქრია ყუშიტაშვილი**, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსის მ/შ - **დავით ქსოვრელიშვილი,** თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსი - **გიორგი ენუქიძე**, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი - **გიორგი თავზერიძე**, თელავის მუნიციპალიტეტის მერიის სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვის განყოფილების უფროსი - **ნინო ჩურხაული;**

დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი

1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ;

   **მომხსენებელი: ლ.ლილუაშვილი**

2. პროექტი „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერის" პროგრამის დაფინანსების შესახებ;

   **მომხსენებელი: ლ.ლილუაშვილი**

მოისმინეს:1. თელავის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის განხილვის შესახებ;

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ 2019 წელს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო" შეხვდა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემები, რომლებიც მიეწოდა მერიას რეაგირებისათვის. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებ დავით ქსოვრელიშვილმა აღნიშნა, რომ ისეთი საკითხები როგორიცაა გზებისა და გარე განათების მოწესრიგება, სანიაღვრე არხების მოწყობა, წყლის ქსელების რეაბილიტაცია გათვალისწინებულია 2020 წლის ბიუჯეტში;

მუნიციპალიტეტის სოციალური პროგრამების სწორად ფუნქციონირების მიზნით საჭიროა ყველა განცხადება განხილულ იქნას კომისიური წესით.

გადაწყვიტეს: ეთხოვოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას წარმოადგინოს 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

მოისმინეს:2 პროექტი „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა" პროგრამის დაფინანსების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ლევან ლილუაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში,

გადაწყვიტეს: პროექტი გაეგზავნოს თელავის მუნიციპალიტეტის მერიას 2020 წლის ბიუჯეტში გასათვალისწინებლად.

ფრაქციის თავმჯდომარე: ლ.ლილუაშვილი

| | |
|---|---|
| ბიუჯეტი | 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარი |
| ქვეპროგრამის დასახელება (პროგრამული კოდი) | ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | თელავის მუნიციპალიტეტის მერია |
| ქვეპროგრამის მიზანი | ახალგაზრდების გააქტიურება და მათი ჩართულობის გაზრდა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების პროცესში, მათი ნოვაციური და ინფრასტრუქტურული ინიციატივების მხარდაჭერა |
| ქვეპროგრამის აღწერა | თვითმმართველობის განხორციელებაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანია, რომ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდებს ჰქონდეთ პლატფორმა, რომელიც საშუალებას მისცემს ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე დააყენონ მათთვის საჭირო ინიციატივები.<br><br>კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია თელავის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 16-დან 27 წლამდე ახალგაზრდას ან საინიციატივო ჯგუფს.<br><br>კონკურსის წესით შეირჩევა საუკეთესო პროექტები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს ახალგაზრდებისა და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარებას. პრიორიტეტი მიენიჭება იმ პროექტებს, რომლებიც მოემსახურება ახალგაზრდების საჭიროებების დაკმაყოფილებას და სასარგებლო იქნება არა მხოლოდ პროექტების ბენეფიციართათვის, არამედ მთელი საზოგადოებისთვის.<br><br>ახალგაზრდების იდეებს განიხილავს თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც იქნება 9 წევრი, აქედან 3 საკრებულოს, 3 მერიის და 3 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი). სამუშაო ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას ცალკეული პროექტების დაფინანსების თაობაზე. |

| | |
|---|---|
| | პროექტების რეგისტრაციის ეტაპი: 01 იანვრიდან 31 მარტამდე; ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტები განთავსდება მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე, ასევე პროექტისთვის შექმნილ FACEBOOK გვერდზე. დროებითი სამუშაო ჯგუფის მიერ პროექტების გადარჩევა და განხილვა მოხდება აპრილის თვეში, ხოლო გამარჯვებული პროექტი/პროექტები გამოვლინდება მაისის დასაწყისში.<br>გამარჯვებული იდეების განხორციელება დაიწყება ივნისიდან.<br>პროექტი უნდა განხორციელდეს და დასრულდეს 2020 წლის განმავლობაში.<br><br>იდეის განხორციელებისთვის მოთხოვნილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარს.<br>მთლიანი პროექტის ბიუჯეტი - 50 ათასი ლარი. |
| შუალედური შედეგი | გაზრდილია ახალგაზრდების ჩართულობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მხარდაჭერილია ახალგაზრდების ინიციატივები |

მოსალოდნელი შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი:

| № | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების ალბათობა (%/აღწერა) | შესაძლო რისკები |
|---|---|---|---|---|
| კონკურსში წარდგენილი ახალგაზრდული ინიციატივების რაოდენობა | 2019 წელი - 0 | 2020 წელი - 4 | 10% | ახალგაზრდების დაბალი აქტივობა; |
| განხორიელებული ინიციატივების რაოდენობა | 2019 წელი - 0 | 2020 წელი - 2 | 20% | შესაძლია დაფინანსდეს 2-ზე მეტი პროექტი, ან მხოლოდ 1 პროექტი |